



KA040114611970322

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ელ-ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

№ 28/სა

10 / თებერვალი / 2022 წ.

ბრძანება

შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზების უზრუნველყოფის მიზნით, „შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად წლიური სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის საჯარო სამსახურის ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 13 იანვრის N10 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზების უზრუნველყოფის მიზნით, „შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად წლიური სამოქმედო გეგმა, დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ბიუროს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ქარდავა

ამოცანა 1.	საჯარო სამსახურში დასაქმებული პირებისათვის შშმ პირების სტატუსის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და საერთაშორისო პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლების პროცესის ხელშეწყობა		
აქტივობა 1.1.	ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენლებისათვის შშმ პირების უფლებების შესახებ ტრენინგის ჩატარება		
	<p>შედეგის ინდიკატორი: ჩატარებულია 2 ტრენინგი და გადამზადებულია საქართველოს სამინისტროების, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, საქართველოს პარლამენტის აპარატის, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და დამოუკიდებელი სსიპ-ების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენლები, სულ მცირე 25 თანამშრომელი</p>	დაფინანსების წყარო	
		სახელმწიფო ბიუჯეტი	პარტნიორი ორგანიზაცია
			პარტნიორი უწყების დონორული მხარდაჭერა
			-
	პარტნიორი უწყება:		
აქტივობა 1.2.	შშმ პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ჩატარება		
	<p>შედეგის ინდიკატორი: ჩატარებულია ღონისძიება, სულ მცირე 100 პროფესიული საჯარო მოხელის მონაწილეობით</p>	დაფინანსების წყარო	
		სახელმწიფო ბიუჯეტი	პარტნიორი ორგანიზაცია
		ადმინისტრაციული ხარჯი	-

	პარტნიორი უწყება:			
ამოცანა 2.	შშმ პირების უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროს სერვისებისა და რესურსების შესაბამისი ადაპტირების ხელშეწყობა			
აქტივობა 2.1.	საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის - hr.gov.ge - შშმ პირებზე ადაპტირებისათვის საჭიროებების განსაზღვრა			
	ვებგვერდის შშმ პირებზე ადაპტირების საჭიროებები განსაზღვრულია და მომზადებულია შესაბამისი კონცეფციის დოკუმენტი	დაფინანსების წყარო		
		სახელმწიფო ბიუჯეტი	პარტნიორი ორგანიზაცია	დეფიციტი
			პარტნიორი უწყების დონორული მხარდაჭერა	-
	პარტნიორი უწყება:			
აქტივობა 2.2.	საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის - hr.gov.ge - შშმ პირებზე ადაპტირების გეგმის შემუშავება			
	შედგენილია ვებგვერდის შშმ პირებზე ადაპტირების გეგმა	დაფინანსების წყარო		
		სახელმწიფო ბიუჯეტი	პარტნიორი ორგანიზაცია	დეფიციტი
			პარტნიორი უწყების დონორული მხარდაჭერა	-
	პარტნიორი უწყება:			
აქტივობა 2.3.	საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ შემუშავებული ზოგიერთი სასწავლო და საინფორმაციო მასალის შშმ პირებზე ადაპტირება			
	შშმ პირებზე ადაპტირებულია სულ მცირე ერთი ვიდეო რგოლი და ერთი	დაფინანსების წყარო		
		სახელმწიფო ბიუჯეტი	პარტნიორი ორგანიზაცია	დეფიციტი

	სახელმძღვანელო, რომლებიც გამოქვეყნებულია ბიუროს ვებგვერდზე csb.gov.ge		პარტნიორი უწყების დონორული მხარდაჭერა	-
	პარტნიორი უწყება:			
ამოცანა 3.	საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული შშმ პირების სტატუსის შესახებ ინფორმაციის შეგროვების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება			
აქტივობა 3.1.	საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული შშმ პირების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა			
	საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული შშმ პირების სტატუსის შესახებ ინფორმაციის შეგროვების სისტემურ საკითხებზე კვლევა ჩატარებულია და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა შესწავალილია	დაფინანსების წყარო		
		სახელმწიფო ბიუჯეტი	პარტნიორი ორგანიზაცია	დეფიციტი
			პარტნიორი უწყების დონორული მხარდაჭერა	-
	პარტნიორი უწყება:			
აქტივობა 3.2.	საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული შშმ პირების შესახებ ინფორმაციის მექანიზმის დანერგვის გეგმის შემუშავება			
	მომზადებულია საჯარო სამსახურში დასაქმებული შშმ პირების შესახებ ინფორმაციის შეგროვების გეგმა, პერსონალური მონაცემების სტანდარტების დაცვით			
		სახელმწიფო ბიუჯეტი	პარტნიორი ორგანიზაცია	დეფიციტი
			პარტნიორი უწყების დონორული მხარდაჭერა	-
	პარტნიორი უწყება:			